ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის

თავმჯდომარის

<u>ლევან ჟორჟოლიანის</u>

(2020 წლის პირველი ნოემბრიდან - 2021 წლის 16 სექტემბრის ჩათვლით)

საქმიანობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

დედაქალაქის საკრებულოს წევრი და ამავდროულად, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე წარმოგიდგენთ 2020 წლის პირველი ნოემბრიდან 2021 წლის 16 სექტემბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს.

მოგახსენებთ, რომ ვარ ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ წევრი, რომლის ფარგლებშიც, **2020 წლის პირველი ნოემბრიდან - 2021 წლის 16 სექტემბრის ჩათვლით** მონაწილეობა **მივიღე 14 სხდომაში** და **განვიხილე 23 საკითხი.**

ამასთან, 2020 წლის 22 დეკემბრამდე გახლდით დედაქალაქის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრი. საანგარიშო პერიოდში (2020 წლის ნოემბრიდან - 2020 წლის 22 დეკემბრამდე) დავესწარი გარემოს დაცვის კომისიის **3 სხდომას** და შევისწავლე **13 საკითხი.**

ხოლო, 2020 წლის 22 დეკემბრიდან დღემდე ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი. საანგარიშო პერიოდში დავესწარი კომისიის **21 სხდომას** და შევისწავლე **284 საკითხი.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში, აღნიშნულ პერიოდში შემოსულია **100-ზე მეტი** განცხადება/წერილი და თითოეულ მათგანზე კანონით დადგენილ ვადებში განხორციელდა/ხორციელდება შესაბამისი რეაგირება, ასევე, კომისიის სამდივნოს თანამშრომლებმა ასობით მოქალაქეს გაუწიეს ზეპირი იურიდიული კონსულტაცია.

აღსანიშნავია, რომ **2020 წლის პირველი ნოემბრიდან - 2021 წლის 16 სექტემბრის** ჩათვლით, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ჩაატარა **23 (ოცდასამი)** სხდომა. ხსენებული სხდომების ფარგლებში განხილულ იქნა **341 განკარგულებისა** და **97 დადგენილების პროექტი.**

ზემოხსენებულ სხდომებზე დეტალურად შევისწავლეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტები. ნორმატიული აქტების

პროექტებზე ჩატარებული სამართლებრივი ექსპერტიზის ფარგლებში, კომისიას გააჩნდა როგორც ტექნიკური, ისე სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები, რომლებიც ძირითადად ემსახურებოდა პრეამბულისა და თავად პროექტის მუხლების ტექნიკურ, სამართლებრივ, შინაარსობრივ გამართვას, ზემდგომ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაში მოყვანასა და კანონის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფას.

ჩემი, როგორც კომისიის თავმჯდომარის მიერ მითითებული/წარდგენილი შენიშვნები გაიზიარა როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ. ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში, თავად ჩვენ (კომისია) მიერ იქნა შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტები.

წარმოდგენილ ანგარიშში ცალკეულად გამოვყოფ იმ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც განხილულ და მხარდაჭერილ იქნა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ:

<u>მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემის საკითხები:</u>

აღსანიშნავია ქონების გადაცემის საკითხები, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღებით შევისწავლით, რამდენადაც, ხდება **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** უძრავი ქონების გადაცემა **იმ პირთათვის, რომლებიც ხანგრძლივი დროის (10-15-20 წლის) განმავლობაში ფლობდნენ და სარგებლობდნენ** შესაბამისი უძრავი ქონებით.

საანგარიშო პერიოდში იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე შესწავლილ და მხარდაჭერილ იქნა ქონებათა გადაცემის საკითხები, რომელთა ფარგლებში **650**-მდე ოჯახს გადაეცა მათ სარგებლობაში არსებული ფართები **173** სხვადასხვა მისამართზე.

<u>კოოპერატივის წევრებისათვის, მათი წარმომადგენლებისთვის ან მათი უფლებამონაცვლეებისათვის ქონების გადაცემა:</u>

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის განკარგულებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს ეთხოვა, კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემის უზრუნველყოფა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ეტაპობრივად ხორციელდება/განხორციელდა კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთათვის უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემა, მათ მიმართ არსებულ სახელმწიფო საშინაო ვალზე უარის თქმის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში **ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების 450-მდე წევრი/მათი უფლებამონაცვლე დაკმაყოფილდა.**

აქვე მსურს შევეხო დღეისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რეალობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან და პრობლემურ საკითხს დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ **დაუმთავრებელი მშენებლობების საკითხი ერთ-ერთი უმწვავესი თემაა დედაქალაქისთვის, როგორც ურბანული, ასევე სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით.** დედაქალაქში ათასობით ოჯახია დაზარალებული, რომლებიც სახელმწიფოსგან ქმედითი ნაბიჯების გადადგმას ელოდებიან.

აღნიშნული პრობლების მოგვარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით, შეიქმნა **დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისია,** რომელიც შეისწავლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების მიზნით, დაინტერესებულ პირთა განცხადებებს/წინადადებებს და გასცემს რეკომენდაციას დაზარალებულ პირთა ინტერესების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ **2019 წლიდან ვარ ზემოხსენებული კომისიის წევრი.** კომისიის საქმიანობის ფარგლებში 2019-2020 წლებში განხორციელდა ისეთი მნიშვნელოვანი და მასშტაბური პროექტები, რომლებიც ემსახურებოდა კომპანია ,,სვეტის“ ,,ოლიმპიური ვარსკვლავის“ ,,ცენტრ პოინტის“ (ნაწილის) დაუსრულებული მშენებლობების დასრულებას და აღნიშნული კომპანიების მიერ დაზარალებული ათასობით მოქალაქის დაკმაყოფილებას.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში კვლავაც გრძელდებოდა აქტიური მუშაობა შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული პრობლემის საბოლოო ამოწურვისათვის. ვინაიდან ფაქტობრივი თუ სამართლებრივი მოცემულობიდან გამომდინარე, ყოველი დაუსრულებელი ობიექტი სპეციფიურ მიდგომას საჭიროებდა, შევქმენით ერთიანი ბიზნეს მოდელი, რომელიც ქმნიდა იურიდიული, ფინანსური და ურბანულ-არქიტექტურული გადაწყვეტების ერთობლიობას და მაქსიმალურად მორგებული იყო თითოეული დაუსრულებელი მშენებლობის პრობლემებსა თუ საჭიროებებზე.

კომისიის მიერ განხორციელდა საკმაოდ მოცულობითი და შრომატევადი სამუშაო, რომლის შედეგად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მ/წლის 7 სექტემბრის სხდომაზე ,,ცენტრ პოინტის“ ბოლო ობიექტის თაობაზე მიღებული შესაბამისი განკარგულებით, დედაქალაქში შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობების პრობლემა დასრულდა და ჯამში 6000-ზე მეტი დაზარალებული ოჯახი, თითქმის 20 წლიანი ლოდინის შემდეგ კუთვნილ საცხოვრებელ ბინებს მიიღებს. ამ ეტაპზე ,,ცენტრ პოინტის“ ყველა ობიექტზე მიმდინარეობს აქტიური სამშენებლო სამუშაოები ან სანებართვო პროცედურები.

აგრეთვე, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ერთ-ერთი მასშტაბური და მნიშვნელოვანი პროექტი კომპანია ,,აქსისის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით - 3 სხვადასხვა ობიექტზე, რომლის ფარგლებში ჯამში 500-ზე მეტი დაზარალებული მენაშენე დაკმაყოფილდება.

გარდა ზემოხსენებული მსხვილი პროექტებისა, არაერთი დაუსრულებელი მშენებლობის (და შესაბამისად ასობით დაზარალებული ოჯახის) პრობლემა მოგვარდა, რომელთა პროექტების შემუშავების და სამართლებრივი კუთხით გამართვის პროცესში უშუალო მონაწილეობას ვღებულობდი, როგორც მერიის ზემოხსენებული კომისიის მუშაობის, ასევე შემდგომში მათი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განხილვისა და საკრებულოს სხდომისთვის წარდგენის ეტაპზე.

ბიუჯეტი:

შევისწავლეთ და მხარი დავუჭირეთ:

- 2020 წლის 25 დეკემბრის სხდომაზე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **2021 წლის ბიუჯეტის პროექტს.** ასევე მ/წლის 29 იანვრის, 29 აპრილის, 1 ივნისისა და 23 ივლისის სხდომებზე განხორციელებულ **ბიუჯეტის ცვლილების პროექტებს.** საანგარიშო წლის განმავლობაში ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა თავდაპირველად დამტკიცებულ ვარიანტთან შედარებით გაიზარდა **176 674,4 ათასი ლარით** და შეადგინა **1 226 976,9 ათასი ლარი.**
- ასევე, მ/წლის 27 აპრილის სხდომაზე გავეცანით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს.**

სატრანსპორტო საკითხებთან დაკავშირებით:

საანგარიშო პერიოდში „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის **N17-48** დადგენილებაში არაერთი ცვლილება განხორციელდა.

დედაქალაქის მერიის ცხელ ხაზზე დაფიქსირებული ზარებიდან გამომდინარე, რომლითაც მოსახლეობა ითხოვდა ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტებში ცვლილებების შეტანას და მარშრუტებზე ავტობუსების რაოდენობის გაზრდას განხორციელდა ცვლილებები არაერთი მარშრუტის სქემებში.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფისა და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, **საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში 2020 წლის ოქტომბრიდან დაინერგა, ხოლო 2021 წლის 1 ივნისიდან სრულად ამოქმედდა სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემა**, რომლის საფუძველზე დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩასართავად დაემატა ავტობუსების ახალი მარშრუტები. აღსანიშნავია, რომ სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულ M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებით მოსარგებლე მგზავრებზე გავრცელდა ყველა ის უფასო, შეღავათიანი მგზავრობისა თუ ფასდაკლების სისტემა, რაც აქამდე არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე ვრცელდებოდა. მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მგზავრობის ფასი განისაზღვრა 0,5 ლარის ოდენობით.

ზემოხსენებული სისტემის დანერგვიდან გამომდინარე, არაერთი თანმდევი ცვლილება განხორციელდა სატრანსპორტო საკითხებთან დაკავშირებულ სხვადასხვა დადგენილების პროექტებში, რომელთა შესწავლასა და სამართლებრივ-ტექნიკური კუთხით გამართვაში მონაწილეობას ვღებულობდი.

გარდა ამისა, სატრანსპორტო საკითხებთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ცვლილებებიდან, აღსანიშნავია ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის **№20-81** დადგენილებაში შესული ცვლილება, რომლის მიხედვით,

- ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში, **ამოქმედდა ახალი საბაგირო გზა – „უნივერსიტეტი-ბაგები“;**

- მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფი განისაზღვრა **0,5** ლარის ოდენობით;

- საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების **სტუდენტებსა** და ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების **პროფესიულ სტუდენტებს უფასო მგზავრობის უფლება მიეცათ;**

- ასევე გათვალისწინებულ იქნა შესაბამისი ფასდაკლების სისტემა.

<u>მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ:</u>

დედაქალაქში არსებული გამოწვევებისა და მიმდინარე რეფორმების გათვალისწინებით არაერთი ცვლილება შევიდა ასევე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის **N39-18** დადგენილებასა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის **№14-39** დადგენილებაში, ხოლო მე, როგორც იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ჩართული ვიყავი მათი სამართლებრივი ასპექტების შესწავლასა და დახვეწაში.

გარდა ამისა, **განვიხილეთ და მხარი დავუჭირეთ არაერთ მნიშვნელოვან პროექტს,** რომლებიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამების შინაარსობრივ და ტექნიკურ გამართვას ისახავდა მიზნად.

ცვლილებები განხორციელდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაში და ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებულ არაერთ დადგენილებაში.

ასევე, **წარჩინებული სტუდენტების წახალისების კუთხით საანგარიშო პერიოდში ცვლილება განხორციელდა სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან ,,წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესში“.**

ცვლილების მიხედვით სარეიტინგო ქულა, რომელიც განსაზღვრული იყო 70 ათასით და ქვევით, 150 ათასამდე გაიზარდა. შესაბამისად, **აღნიშნული ცვლილებით, კიდევ უფრო მეტი სტუდენტის სწავლების საფასურის დაფინანსება გახდა შესაძლებელი, რომლის უზრუნველსაყოფადაც ბიუჯეტიდან გამოიყო 1 მლნ 300 ათასი ლარი.**

ამასთან, ცვლილების თანახმად, ფინანსურად წახალისდებიან მაგისტრატურის წარჩინებული სტუდენტები, რომლებიც ბოლო 6 თვის განმავლობაში არიან რეგისტრირებულები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, სწავლობენ მაგისტრატურის ეტაპზე და გამოირჩევიან მაღალი აკადემიური მოსწრებით.

აგრეთვე, მ/წლის 1 ივნისის სხდომაზე დამტკიცებულ იქნა შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმა, რომელშიც

განსაზღვრულია კონცეპტუალური ხედვა, პრიორიტეტული სტრატეგიული მიმართულებები და დასახულია კონკრეტული, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში გასატარებელი ღონისძიებები.

აქვე მოკლედ შევეხები, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ქვეყანაში არსებული პანდემიის პერიოდში გატარებული ღონისძიებების საკითხს და იმ სამართლებრივ აქტებს, რომელთა შემუშავებისა და სამართლებრივ-ტექნიკური თვალსაზრისით დახვეწის პროცესშიც მონაწილეობას ვღებულობდი.**

აღსანიშნავია, რომ ე.წ. „ახალი კორონა ვირუსის“ – „COVID-19”-ის საქართველოში დაფიქსირებისთანავე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო შესაბამისი ზომები, გაიზიარა საერთაშორისო მითითებები და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციები. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოები ყოველდღიურად ზრუნავდნენ იმ ფიზიკური თუ იურიდიულ პირების მდგომარეობის შემსუბუქებაზე, რომელთა სოციალური პირობები ქვეყანაში არსებულმა პანდემიამ მნიშვნელოვნად გააუარესა.

აქედან გამომდინარე, ზემოხსენებულ პერიოდში **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მოქალაქეთა ინტერესებიდან გამომდინარე, არაერთი ხელშემწყობი ღონისძიების სამართლებრივი რეგლამენტირება მოხდა:**

1) ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების თავიდან არიდების მიზნით, ვინაიდან ეკონომიკური საქმიანობა გარკვეული ვადით შეეზღუდათ კვების ობიექტებს/რესტორნებს/ბარებს/კაფეებს და მათი ფუნქციონირება დასაშვები იყო მხოლოდ მიტანის მომსახურებითა და პროდუქტის გატანით, **მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, კვების ობიექტების მიმართ განხორციელებულიყო გარკვეული შეღავათები.** შესაბამისად ცვლილება განხორციელდა საკრებულოს N17-46 დადგენილებაში და კვების ობიექტებს შეუწყდათ დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა დასაჯდომი ადგილების მიხედვით 2020 წლის 1 დეკემბრიდან 2021 წლის 1 თებერვლამდე პერიოდში.

2) ასევე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული კვლავ გაგვეგრძელებინა იმ მეწარმე სუბიექტების ხელშეწყობა, რომელთაც ყველაზე მეტად ესაჭიროებოდათ დახმარება რათა არ შეეწყვიტათ საქმიანობა. აქედან გამომდინარე, ამ სუბიექტთა მიმართ გამოსაყენებელი ხელშემწყობი ღონისძიებების თაობაზე მიღებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი განკარგულების პროექტები, **რომლებიც შეეხო ჯამში 700-მდე მეწარმეს.** აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში, მეწარმე სუბიექტების ნაწილი გათავისუფლდა საიჯარო ქირის გადახდისგან, გარკვეულ ნაწილს გადაუვადდა, ნაწილს კი გადახდილი თანხა ჩაეთვალა სამომავლო საიჯარო ქირის ანგარიშში, ასევე ზემოაღნიშნული სუბიექტები გათავისუფლდნენ დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასატეხლოსგან.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ **საანგარიშო პერიოდში ჩემი ინიციატივით ორგანიზება გაეწია არაერთ მნიშვნელოვან სხდომასა თუ შეხვედრას.**

2021 წლის სექტემბერში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის **იურიდიული საქალაქო სამსახურის მიერ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე წარმოდგენილ იქნა 2020-2021 წლებში გაწეული საქმიანობის ანგარიში.**

გარდა ამისა, მუდმივ მზაობას გამოვთქვამ ხელი შევუწყო ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში ახალგაზრდა თაობის მაქსიმალურ ჩართულობას, სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტებს პერმანენტულად ეძლევათ შესაძლებლობა გაიარონ სტაჟირება იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში, შეიძინონ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა და აიმაღლონ პროფესიული უნარ-ჩვევები.

პატივისცემით,

ლევან ჟორჟოლიანი

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე